ამ დროს თბილისის საზოგადოება მაშინდელ სასაზინო თეატრში ისმენდა რუსულ და ევროპულ ოპერებს, რომელთა დადგმასაც ასორციელებდა კომპოზიტორი და დირიჟორი მ. იპოლიტოვ-ივანოვი, სრულდებოდა როსინის, დონიცეტის, ბელინის, ვერდის და გლინკას მუსიკა.

დიდი ღვაწლი მიუძღვის კომპოზიტორ ნ. კლენოვსკის ზაქარიას სამუსიკო განათლებაში. ნ. კლენოვსკიმ ჩაუნერგა დიდი სიყვარული ხალხური შემოქმედებისადმი, იყო მისი პირველი მასწავლებელი კომპოზიციაში და იგი მისი დირიჟორობით უკრავდა სიმფონიურ ორკესტრში ვალტორნას. ამასთანავე ზაქარია უკრავდა ორღანს, ასრულებდა ბახის, ჰენდელის, ბეთ-ჰოვენის და მოცარტის უკვდავ ნაწარმოებებს.

1900 წლიდან ზაქარია უკვე მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლობს ცნობილ კომპოზიტორ სერგეი ტანეევთან. მათმა ურთიერთობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ზაქარია გახდა დიდი პროფესიონალი, იგი მთლიანად დაეუფლა რთულ საკომპოზიტორო ტექნიკას. გარდა ამისა, მოსკოვის კონსერვატორიაში ყოფნის დროს მან შეაგულიანა თავისი მასწავლებელი, შეაყვარა მას ქართული მუსიკა და აღუძრა სურვილი სვანეთში გამგზავრებისა — სვანური მუსიკის შესწავლის მიზნით. ს. ტანეევმა მართლაც მოიარა ზაქარია ფალიაშვილთან ერთად სვანეთი დიდი კვლევა-ძიებითი და შემოქმედებითი შედეგებით. ეს იყო მუსიკოსების პირველი მოგზაურობა სვანეთში.

დიდად აფასებდა ზაქარია ფალიაშვილი თავის მასწავლებელს, დიდ პოლიფონისტს სერგეი ტანეევს, უდიდესი სითბოთი და სიყვარულით იხსენებდა მის ამაგს. მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში იგი ასერხებდა არდადეგების დროს კახეთში და გურიაში გამგზავრებას ხალხური მუსიკის შესასწავლად. ამავე დროს ეწაფებოდა ნიდერლანდების მუსიკას, ჰენდელისა და ბახის შემოქმედებას, და თვით ს. ტანეევის კანტატის „იოანე დამასკელის“ მუსიკის ათვისებას.

მოსკოვში ყოფნის დროს ზაქარიამ ადგილობრივ ქართველთაგან ჩამოაყალიბა ქართული გუნდი, რომელიც დიდი წარმატებით გამოდიოდა და ქებას იმსახურებდა. გუნდი ზაქარიას ლოტბარობით მონაწილეობდა ქართველი ლარიბი სტუდენტობისა და 1902 წელს დატესალებული მუშაობელოლუციონერთა საკეთილმოქმედო კონცერტებში.

მრავალი კრებულისა და დამუშავებული ხალხური სიმღერების გამოცემის შემდეგ, იმის შემდეგ, რაც დიდმა კომპოზიტორმა გაიარა გზა გუნდის რიგითი შემსრულებლისა, სოლისტისა, ლოტბარისა, გუნდების და ხალხური სამუსიკო შემოქმედების შემკრებისა, ასეთი დიდი პრაქტიკული მუშაობის და სოლიდური პროფესიული მომზადების შემდეგ ზაქარიამ დაიწყო საოპერო სიუჟეტისა და მასალის ძებნა.

ამ საქმეს დაუფასებელი ღვაწლი დასდო გამორჩენილმა ლიტერატორმა და პედაგოგმა, ხალხური პოეზიის დიდმა მცოდნემ პეტრე მირიანაშვილმა, რომელმაც მიაწოდა კომპოზიტორს „აბესალომ და ეთერის“ დამუშავებული ლიბრეტო, ამოუდგა მას მხარში ხედვით. ლიბრეტო მთლიანად დაწერილი იყო ე. ჯაბადარისა და მისი მეუღლის, უნგრელი ქალის მარგიტ ბარკუნის მიერ.

ამავე დროს ე. ჯაბადარმა მეოთხე სიმფონიის მეორე, გარდამავალ ნაწილში თემად გამოიყენა ქართული ხალხური სიმღერა „მურმან, მურმან, შენსა მზესა, შენი ცოლი რა რიგია?“. ეს ქართული ხალხური თემა საინტერესოა, საერთოდ. ბევრ ქართველ და სხვა კომპოზიტორს ჰქონდა სურვილი დაემუშავებინა იგი (მაგალითად, მ. იპოლიტოვ-ივანოვს, მ. ბალანჩივაძს, კ. ფოცხვერაშვილს და სხვ.), მაგრამ რამდენიმე წლის მოგვიანებით ზაქარია ფალიაშვილმა მთელი სისავსით „აბესალომ“ მეოთხე აქტი და მას დრამატურგიული ფუნქცია მიანიჭა.

ზაქარია ფალიაშვილის ოპერები „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, მთელი მისი შემოქმედება ქართველი ხალხის უძვირფასესი ქმნილებაა, მათ დაიმკვიდრეს ჩვენს გულში ღრმა პატივისცემა და სიყვარული.

„აბესალომში“ პატარა, მეტად ლაკონიურ შესავალში, სადაც სამი თემაა: აბესალომისა, ეთერისა და მათი განწირულებისა, უკვე მოჩანს ის ტრაგედია, რომელიც კეთილისა და ბოროტის დამოკიდებულებაზე მოგვითხრობს. დიდი ნიჭიერებით დაწერილ ამ შესავალში ღრმად არის გახსნილი გმირების ხასიათი. განა საჭიროა, რომ ადამიანის ხასიათი იწერებოდეს უთვალავი ფურცლებით, მრავალი სურათებით? რამდენიმე ზუსტი შტრიხი ხშირად უფრო ბევრს ლაპარაკობს. მოვიგონოთ მუსორგსკის. ოპერა „ბორისის“ შესავალი, როგორი ნიჭიერებით ასახა მან ძველი რუსეთი, რუსი ხალხის ხასიათი სულ რამდენიმე ტაქტში, საკრავების ძუნწი გამოყენებით. მოვიგონოთ რ. ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდა“. ოპერის დასაწყისის 8-10 ტაქტში მოთავსებულია მთელი მე-19 საუკუნის ჰარმონიის განვითარების კანონები, ამ რამდენიმე ტაქტს მიეძღვნა ევროპის გამოჩენილ ავტორთა უზარმაზარი ლიტერატურა. ტრისტანის და იზოლდას სიყვარულისა და ტრაგედიის ამბავი მთელი სისავსით არის აქ გახსნილი.

მოვიგონოთ ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის ფინალი, სადაც ჩელოები და ალტები ჯგუფმოსცემენ მეკობრობის უკვდავ თემას, როგორი ფრაზით ერთვის მათ ფაგოტი! მუსიკალურ ლიტერატურაში ბევრია ასეთი მაგალითი და ასეთი მაგალითების სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ ზაქარია ფალიაშვილის რეკვიემის ხასიათის პატარა შესავალი „აბესალომიდან“. მუსიკის ამ მონაკვეთში მოჩანს ქართველი ხალხის ზარსულის გლოვის სურათი, კონკრეტულ ინდივიდუუმებში, საქართველოს მთიდან წამოსულ ლეგენდარულ-ორატორიულ გმირებში გატარებული მთელი ერის სულის სიღრმე, მისი გულჩათხრობილი ხასიათი, მაღალი ბუნება და რეალობის მადალი შეგნება. შეიძლება ითქვას, რომ ამ პატარა შესავალში მოცემულია ის ემბრიონი, ის საწყისი, რომელიც, შემდგომში, საფუძვლად დაედო მთელ ქართულ საოპერო და სიმფონიურ შემოქმედებას.

„აბესალომის“ მეორე აქტი, ზეიმისა და ქორწილის რიტუალი მუსიკაში გადმოცემულია უტყუარად, მაღალი ოსტატობით. ამ აქტის მუსიკაში გამოყენებულია ისტორიულად დამდგარი მყარი სახეები და ინტონაციები. ძალიან მედიდურად გამოიყურება ოპერაში სიმღერა „ჩაკრულო“, მაგრამ როცა მას შეეხო მუსიკის ოსტატის ხელი, იგი უფრო გაცისკროვნდა, მრავალფეროვნი გახდა მისი ბგერათა პალიტრა. ასევეა სიმღერა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ — ძველი ქართული ჰიმნი, რაც შეეხება საყვირების მუსიკას აბიო მეფისა და აბესალომის მოახლოების დროს — აქ კომპოზიტორმა ჭეშმარიტად მიაგნო ჩვენი ძველი დარბაზების, ზეიმებისა და დღესასწაულების ფრიად დამახასიათებელ ინტონაციებს. მოვიგონოთ სვანური საყვირების მოტივები ალიბრეტო მთლიანად დაწერილი იყო ე. ჯაბადარისა და მისი მეუღლის, უნგრელი ქალის მარგიტ ბარკუნის მიერ.

ამავე დროს ე. ჯაბადარმა მეოთხე სიმფონიის მეორე, გარდამავალ ნაწილში თემად გამოიყენა ქართული ხალხური სიმღერა „მურმან, მურმან, შენსა მზესა, შენი ცოლი რა რიგია?“. ეს ქართული ხალხური თემა საინტერესოა, საერთოდ. ბევრ ქართველ და სხვა კომპოზიტორს ჰქონდა სურვილი დაემუშავებინა იგი (მაგალითად, მ. იპოლიტოვ-ივანოვს, მ. ბალანჩივაძს, კ. ფოცხვერაშვილს და სხვ.), მაგრამ რამდენიმე წლის მოგვიანებით ზაქარია ფალიაშვილმა მთელი სისავსით „აბესალომ“ მეოთხე აქტი და მას დრამატურგიული ფუნქცია მიანიჭა.

ზაქარია ფალიაშვილის ოპერები „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ანაკოფელი“, „ანზორ“, „ანაკლია“ ... ...

ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი

წლები და სპექტაკლები

ზაქარია ფალიაშვილის ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ თბილისს გარდა საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში დაიდგა.

● „აბშსალომ და ეთერი“ პირველად ნახა მაყურებელმა 1919 წლის 21 თებერვალს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე ალ. წეწუნავას დადგმით. სპექტაკლს დირიჟორობდა თვით ოპერის ავტორი. აბესალომს მღეროდა ბ. ზალიასკი (ხოლო რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ აბესალომის პარტიაში გამოვიდა ვ. სარაჯიშვილი), ეთერს — ო. ბახუტაშვილი-შულგინა, მურმანს — ხ. ინამშვილი.

● **1931 წელს** „აბესალომი“ დაიდგა ქ. ხარკოვში. ეს იყო პირველი ქართული ოპერა, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ დაიდგა (რეჟისორი ა. ფალავა, დირიჟორი ი. ვეისენბერგი).

● **მოსკოვის** დიდი თეატრის სცენაზე „აბესალომი“ ორჯერ დაიდგა — **1939 და 1946 წელს** (რეჟისორი რ. სიმონოვი, დირიჟორი ა. მელიქ-ფაშაევი).

● „დაისი“ პირველი სპექტაკლი გაიმართა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე 1923 წლის 19 დეკემბერს. დადგმა განახორციელა კ. მარჯანიშვილმა (რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი), დირიჟორობდა კომპოზიტორის ძმა ი. ფალიაშვილი. მაროს მღეროდა ე. პოპოვა, მალხაზს — ვ. სარაჯიშვილი, კიაზოს — ი. კრიჟანოვსკი.

● **რუსაულ ენაზე** ფარგლებს გარეთ „დაისი“ პირველად აჟღერდა ქ. სარატოვში 1937 წელს (რეჟისორები ვ. ვრონსკი, ბ. მარტოვი, დირიჟორი ა. სატანოვსკი), ერთი წლის შემდეგ ოპერა დაიდგა უკრაინის დედაქალაქში, 1941 წელს — ქ. ოდესაში, 1943 წელს — ალმა-ატასა და ერევანში, 1950 წელს — ნოვოსიბირსკსა და გორკში, 1956 წელს — ბაქოში, ხოლო 1964 წელს — განმეორებით ქ. სარატოვში.

● ოპერა „ლატავრასა“ პრემიერა გაიმართა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე 1928 წლის 16 მარტს. სპექტაკლი დადგა ს. ახმეტელმა, დირიჟორობდა ი. ფალიაშვილი.

● **1969 წელს** თბილისის საოპერო თეატრი საგასტროლოდ იყო პოლონეთში, სადაც წარმოადგინა „დაისი“ (ვარშავა და ლოძი).

● **ამჟამად** „აბესალომ და ეთერი“ დასადგმელად მზადდება ლენინგრადის საოპერო თეატრში.





თბილისში, ამ სახლში 1915 წლის 16 აგვისტოდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ცხოვრობდა ქართული საოპერო მუსიკის ბოლოჯი ზაქარია ფალიაშვილი. აქ, ამ ბინაში შეიქმნა ქართული საოპერო მუსიკის უკვალზე მკაფიო ნაწარმოებები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“, ზაქარიას შემოქმედების უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი სამუსიკო ნიმუშებიც აქ დაიწერა.

ზაქარიას მიერ შექმნილი ჰანგები ხალხის გულისთქმად იქცა. უველაზე საუკეთესო დღესასწაულები წარმოუდგენელია ამ მუსიკის გარეშე.

1962 წელს ამ სახლში ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი შეიქმნა, რომელშიც დიდი ქართველი კომპოზიტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტაციონარული ექსპოზიციაა. სადარბაზო კარის თავზე ლითონ ჭედურობაში ჩანგზე დამკვრელი ქართველი ქალის გამოსახულებაა (ავტორი დ. უოფშიძე). ეს კომპოზიტორის საყვარელი გმირი ეთერია, რომელიც თითქოსდა გიჰმობთ ქართული მუსიკის კლასიკოსის სახლ-მუზეუმში.

სიტყვა — ზ. ფალიაშვილის პრემიის ლაურეატებს

მასწავლებელი, ექიმი, ბარი

დღეს მთელი ჩვენი ხალხი სიყვარულით ხვდება გამორჩენილი ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავს. ჩემს შემოქმედებითს ცხოვრებაში უდიდესი კეთილი გაკეთა ამ დიდებულმა ადამიანმა და შემოქმედმა. მრავალი მოგონება მაკავშირებს მასთან, მაგრამ განსაკუთრებით დაუვიწყარია ჩემთვის პირველი უშუალო შეხვედრა ზაქარიასთან.

კონსერვატორიის სტუდენტი ვიყავი, ზ. ფალიაშვილი კონსერვატორიის რექტორი იყო.

სტუდენტებს მისი დიდი რიდი და პატივისცემა გვქონდა, რადგან იგი მკაცრი და მეტად მომთხოვნი იყო, ამავე დროს სამართლიანი და მეტად გულისხმიერი. უყვარდა სტუდენტები, ყოველნაირად გვეხმარებოდა.

მეხუთე კურსზე ვიყავი. კონცერტს, რომელშიც წარმატებით ვიმღერე, რექტორიც ესწრებოდა. მე სცენიდან ვგრძნობდი, როგორ ყურადღებით მისმენდა. მეორე დღეს თავის კაბინეტში გამომიძახა. ცოტა არ იყოს ავღელდი. ნეტავ რისთვის მეძახის?... გულისხმგერით შევალე კაბინეტის კარი. შემოდი, შემოდი, — დამიძახა. რექტორის ტონმა გამამხნევა და გაბედულად მივუახლოვდი. ზაქარია ადგა, ხელი მოპხვია და მითხრა: აბა, ჩემო პეტრე, მალე კონსერვატორიას დამთავრებ და კარგი იქნება, რომ კურსდამთავრებულს კიაზოსა და მურმანის პარტია მზად გქონდეს. მე თვითონ გამეცალინებო და გაკვეთილი მეორე დღისათვის დამინიშნა.

პირველად კიაზოს პარტიას მოვკიდეთ ხელი. როდესაც ჯერი მიდგა ყოველი ფრაზის მუსიკალურ დამუშავებაზე, გამიჭირდა. რაღაც ისე ვერ გამომდიოდა, ავტორს რომ უნდოდა, ერთხელ გამიწყრა. შენგან არაფერი გამოვა, დროს ტყუილად ვხარჯავო, და ნოტები გაჯავრებით დახეოა. მე გალახულივით ავდექი და კარისაკენ წავედი. ეროი უყურეთ, მომესმა ზაქარიას ხმა. ახლავე მობრუნდი, წახვალ ადვილია, სწავლაა ძნელი! მე, რა თქმა უნდა, მაშინვე შევბრუნდი: შენდეგ ვმუშაობდი გაორკეცებით. მინდოდა საყვარელი კომპოზიტორის ქუბა დამესახურებინა. და ... ერთხელ კიდეც მითხრა, ყოჩაღ, სწორედ ასე უნდაო. პარტიის შესწავლაში ძალიან დამეხმარა ზაქარიას ძმა დიონეზი ივანე ფალიაშვილი.

თეატრში რომ მოვედი, პირველად კიაზოს პარტია ვიმღერე, რომლის სცენურ დამუშავებაში დიდად დამეხმარა ცნობილი რეჟისორი ა. წუწუნავა. ჩემი კიაზო ავტორსაც მოეწონა. მალე თეატრში მურმანის პარტიაც ვიმღერე.

ამის შემდეგ ხშირად შეეხვედრივარ ზაქარიას. ენგიჩარიც ვიმღერე ოპერა „ლატავრაში“. დღეს ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ მისი სახელობის პრემია მომენიჭა. ამაზე მეტი სიხარული რა უნდა იყოს ქართველი მომღერლისათვის!

პეტრე ამირანაშვილი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი.

უსაყვარლესი

არ არსებობს ჩვენში მოქალაქე, რომელიც არ დამტკბარიყოს გენიალური ზაქარიას უკვდავი მელოდიებით, მისი მომხიბლავი ჰანგებით. მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების დედაარსი სწორედ ამ გამორჩენილი კომპოზიტორისა და დიდი ადამიანის სახელთან არის დაკავშირებული.

სულ პატარა ვიყავი, როდესაც პირველად ოპერა მოვისმინე და ეს იყო „აბესალომ და ეთერი“. იმ დროდან დაიწყო ჩემი სიყვარული მუსიკისადმი, ჩემი ბავშვური ოცნება — გავმდარიყავი აბესალომი და დამეთრგუნა მურმანის ბოროტება. ჩემი პირველი გამოსვლა, როგორც დამწყები მომდერლისა, იყო აბესალომის პარტიაში თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სცენაზე. მაშინ მე-5 კურსის სტუდენტი ვიყავი. შემდეგ გავხდი თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი. მახსოვს — სულ ახალგაზდას მომანდეს აბესალომის პარტია. მღელვარებით ველოდი შეხვედრას სპექტაკლის დირიჟორთან ო. დიმიტრიადისთან. პარტია შესწავლილი და დამუშავებული მქონდა თვითონ დიდებულ აბესალომთან, ჩემს პედაგოგ დ. ანდღულაძესთან, რომელთანაც მეცადინეობას დღესაც განვაგრძობ, დამოტრიადი კმაყოფილი დარჩა.

პრემიერის შემდეგ მთელი ჩემი ცხოვრება მკვიდრად დაუკავშირდა აბესალომს. თითქმის ყველა სეზონში ვმღეროდი აბესალომის პარტიას. დაუვიწყარი იქნება ჩემთვის ქუთაისის ოპერა ფილიალის ჯახსნაც, სადაც ისევ აბესალომით წარვდექი მნობლიერ ქალაქის ქუთაისის მაყურებელთა წინაშე, როდესაც მეკითხებიან, შენს რეპერტუარში ყველაზე მეტად რომელი პარტია გიყვარსო, ისევ და ისევ ვუპასუხებ: აბესალომი! ჩემს კოლეგებთან ერთად და მედგა ამირანაშვილებთან ერთად მივიღე ოპერის ქართული მომღერლისათვის უმაღლესი ჯილდო — ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემია. ეს დიდ სიხარულს მეგრის და დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს.

ზურაბ ანჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი.

გულის ნაწილი

ზაქარია ფალიაშვილი ჩემი უსაყვარლესი კომპოზიტორია. მისი ოპერები ჩემი რეპერტუარის მშვენებაა. არ ყოფილა არც ერთი სეზონი, რომ მის ოპერებში არ მემღეროს, როგორც ჩვენს სცენაზე, ისე რესპუბლიკის გარეთაც — მოსკოვში, ლენინგრადში, ვოლგოგრადში, ბაქოში, ერევანში, პოლონეთში და სხვაგან, სადაც ჩვენი თეატრი საგასტროლოდ იმყოფებოდა. ხოლო როდესაც კონცერტებით გამოვდივარ ჩვენს ქვეყანაში თუ უცხოეთში, ფალიაშვილის მუსიკა ჩემი მუდმივი თანამგზავრია. ეს მუსიკა ყველასთვის მახლობელი და გასაგებია, ამიტომ ყველგან აღტაცებით ხვდებიან მას. მე დიდი სიყვარულით ვმღერი როგორც მაროს, ისე ეთერის პარტიას. ვერ გეტყვით, რომელი უფრო მიყვარს. ორივე ქართველი ქალის სულიერ სამყაროს გადმოსცემს, ამიტომ ორივე ჩემი გულის ნაწილია და ერთმანეთისაგან ვერ ვარჩევ.

ზ. ფალიაშვილის საიუბილეო ზეიმს ჩემს ხმას ვუერთებ და ვამბობ, რომ მისი სახელობის პრემიის ლაურეატი გავხდი. ეს ყველაზე საპატიო ჯილდოა ჩემთვის.

მედეა ამირანაშვილი,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი.

სურათებზე: სცენები „აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე.

ფოტო ვლ. ბინზაურგისა.

მეცნიერის დამსახურება

ვ. პარაკაძე — საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ მეცნიერების ისტორიოსთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი **ვახტანგ პარაკაძე** არჩეულია მეცნიერების ისტორიოსთა პარიზის საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ამას იუწყება მეცნიერების ისტორიისა და ფილოსოფიის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი ამოტ გრიგორიანი წერილში, რომელიც რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს რაფიელ დვალს გამოუგზავნია.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ვ. პარაკაძე პირველი ქართველი მეცნიერია, რომელსაც ეს საპატიო წოდება მიენიჭა. მეცნიერული საქმიანობის მეოთხედი საუკუნე მან მე-4—მე-19 საუკუნეების იმ ძველი ქართული ძეგლების შესწავლას მოახმარა, რომლებიც ფიზიკის ელემენტებს შეიცავენ. იგი აღრეთვე სწავლობს ქართველი და რუსი ფიზიკოსების ურთიერთობას. უკვე ათი წელია, რაც პროფესორი ვ. პარაკაძე სწავლობს ევროპელ და ამერიკელ მეცნიერთა ნაშრომებს და მათს გავლენას ფიზიკის განვითარებაზე საქართველოში უკანასკნელი სამასი წლის მანძილზე.

პროფესორი ვ. პარაკაძე ბევრი საერთაშორისო კონგრესის, კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილეა. სპეციალისტთა დიდი შეფასება დაიმსახურეს მისმა ნაშრომებმა: „ვასილ ციხარელის მე-4 საუკუნის ძეგლის „ექვსთა დღეთა“ შესწავლა“, „უფლისწულ დავით ბაგრატიონის „შემოკლებული ფიზიკა“, ანტონ ბაგრატიონის „ვოლფიანური თეორიული ფიზიკის“ თარგმანი და კომენტარები, აღრეთვე პეტრე ბაგრატიონის, მ. ლომონოსოვის, ნ. ბორის, ვ. ფრანკლინის, ლეონარდო და ვინჩის, ვ. პეტროვისა და სხვათა ნაშრომების კვლევამ.

მეცნიერთა დიდი ყურადღება დამმსახურა საზღვარგარეთ გამოქვეყნებულმა პროფესორ ვ. პარაკაძის ნაშრომებმა „XX საუკუნის საქართველოს ფიზიკოსთა მიღწევები“, „პეტრე ბაგრატიონი“, „ანტონ ბაგრატიონი“, „რუსი და საზღვარგარეთელი ფიზიკოსების იდეები გასულ საუკუნეთა ქართველი მეცნიერების ნაშრომებში“, „ქართული ფიზიკის ანტეკურობა და თანამედროვეობა“.

— ამას წინათ მეცნიერების ისტორიკოსთა საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტთან რენე ტატონთან და ზოგიერთ ქართველ მეცნიერთან ერთად, — თქვა საქმიანის კორესპონდენტთან საუბარში ვ. პარაკაძემ, — დავწერე ფრანგი მეცნიერის, აკადემიკოს ჟ. ბრისონის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტატია. იგი ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე გამოქვეყნდა.

გამომცემლობა „მეცნიერებაში“ დასაბეჭდად მზადდება წიგნი „მსოფლიოს ფიზიკოსები“, რომელიც ჩემი პირველი წიგნის „მსოფლიოს გამოჩენილი ფიზიკოსების“ გაგრძელებაა. ეს წიგნი გამოვდა 1967 წელს. ეამთავრებ მუშაობას მონოგრაფიებზე „ფრანგი ფიზიკოსები“ და „ისტორიული ციდები ფიზიკაში“. გარდა ამისა, ახლო მომავალში წარმოებას გადავცემ ფიზიკის რუსულ-ქართულ ტერმინოლოგიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ლომინაძე

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოციალისტური შრომის გმირი, ხელმ წევრი 1939 წლიდან, სამეცნიერების ჯანის ქარხლაშვილ მართველოს დირექტორი ანდრეი ხაშუნ-ძე ლომინაძე.

ა. ლომინაძე დაიბადა 1908 წელს ჯანის რაიონის ს. ზეინდარში, გლეხის ოჯახში. სწავლობდა ჯერ ზეინდრის დაწყებით სკოლაში, ხოლო საშუალო განათლება მიიღო ქ. ქუთაისში.

1932 წელს ა. ლომინაძემ დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და მიიღო აგრონომ-ზოოტექნიკოსის სპეციალობა. ა. ლომინაძე 1932-1933 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ მიწამომქმედების სახალხო კომისარიატში ინსტრუქტორად. 1933 წლიდან 1942 წლამდე — წყალტუბოს რაიონის ფარეხანაყანევის საშუალო სკოლის დირექტორად, ხოლო 1942 წლიდან 1944 წლამდე — წყალტუბოს რაიონის სამხედრო კომისარიატში მეორე ნაწილის უფროსად. 1944-1945 წლებში — სოფელ ზეინდრის შუალორის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. 1945 წლიდან 1947 წლამდე — ჯანის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ. 1947 წლიდან 1960 წლის დეკემბრამდე იგი იყო ჯანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. 1960 წლიდან სამეტრესტის ჯანის ქარხანათაამართველოს დირექტორია.

თითქმის სამი გასული წლის მუშაობის მანძილზე მან თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა და საქმის მცოდნე, პრინციპულმა და გულისხმიერმა მუშაკმა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. წლების მანძილზე არჩეული იყო საქართველოს კპ ჯანის რაიკომისა და ბიურის წევრად. სწორმელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატად.

სამშობლოს წინაშე ა. ლომინაძის დამსახურება და ღვაწლი პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასა. 1948 წელს მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით და მედლებით.

ა. ს. ლომინაძის ნათელი სახელი ხუთ ოდამ დარჩება მისი აღზრდილებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ოსტატი უსწრებს თსუთმეტ გროსმაისტერს

ლენინგრადი. („კომუნისტის“ კორ.). ერთმა ჟურნალისტმა ძალიან კარგად თქვა ხარკოველ ვ. სავონზე, ეს ოსტატის მუნდირში გამოწყობილი გროსმაისტერი გახლავთო. ახლა სავონი საერთად ჩაიცვამს „გროსმაისტერის მუნდირს“. ზედიზედ ოთხი ყაიმით მან უკვე შეასრულა პროგრამამინიმუმი, მოაგროვა გროსმაისტერის ბალი. ახლა დგება ჩემპიონობისათვის ბრძოლის საკითხი. აქ ვ. სავონს ერთი, მაგრამ ფრიად საშიში მეტოქე ჰყავს — მ. ტალა. ვ. სავონი 15 გროსმაისტერს უსწრებს.

მეთვრამეტე ტურში ვ. სავონმა ვაადო პარტია ნ. კრეტინუსთან, ხოლო მ. ტალმა — ვ. გელერთთან. ლ. შტერინმა დაამარცხა ლ. შამეოვინი, ი. ბელაშოვმა — კ. გრიგორიანი, ა. ლეონინმა — მ. ტალიმანოვი. ყაიმზე შეთანხმდნენ ი. პლატონოვი და ლ. პოლუგაევსკი.

ეძებნასეკვარ ქულით...

ძალთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის სოჭის ფინალურ ტურნირზე გათამამდა 7 ტური. წარმატებით იბრძვის ლენინგრადელი ოსტატობის კანდიდატი ლევიტინა, რომელსაც 6,5 ქულა აქვს და ლიდერობის განაგრძობს. მეშვიდე ტურში ლევიტინამ დაამარცხა კოსტოპლოოვა.

ამავე ტურში მკრტიჩიანმა მოუგო ბალაშოვას, ზატულოვსკაიამ — ფომენას, კაკაბაძემ — რანიკუს. სემიონოვასა და ბელავენეცის პარტიაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ოთხი ტურის შემდეგ 3 ქულით პირველ ადგილზეა ოსტატი თ. გიორგაძე. დღეს მეხუთე ტურში ყურადღების ცენტრშია ნ. გაფრინდაშვილი — ნ. ალეშანდრიას პარტია.

ვ. გოგლიძის მემორიალი

გუშინდელ მეოთხე ტურში მოულოდნელად დამთავრდა ბ. გურგენიძე — თ. გიორგაძის პარტია. მე-18 სვლაზე გურგენიძეს ძმიმე. შეცდომა მოუვიდა, დაკარგა მსვლელი და მაშინვე დანებდა. ნ. გაფრინდაშვილმა შავებით ძველინდური დაცვის ერთ-ერთი მწყვანე ვარიანტი აირჩია ე. პეშიხლთან (ჩეხოსლოვაკია). შუა თამაშში მსოფლიო ჩემპიონმა აშკარად აჯობა მეტოქეს და ხელსაყრელ უპირატესობაზე განალაგა თავისი ძალები. პარტია გადადო ნ. გაფრინდაშვილს უპირატესობით. პორტიმშა დაამარცხა გუფელდი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ოთხი ტურის შემდეგ 3 ქულით პირველ ადგილზეა ოსტატი თ. გიორგაძე. დღეს მეხუთე ტურში ყურადღების ცენტრშია ნ. გაფრინდაშვილი — ნ. ალეშანდრიას პარტია.

ჩოგბურთი

თბილისის კორტებზე რამდენიმე დღეა გრძელდება შეჯიბრება ჩოგბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

ვაკთა წყვილებში ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა დუეტმა — მეტრეველმა და ლიხაჩოვმა ადვილად დაამარცხეს ესტონელები სეპი და ლანგე 6:3, 6:2. შერეულ წყვილებში მეტრეველმა და მოროზოვამ სძლიეს თუზარელსა და ახალაძეს (2:0) და მეოთხედფინალში გავიდნენ. ბაქშევეა-ლეონესის წყვილმა მოუგო ჩუვირინა-კაკულიას დუეტს 2:6, 6:3, 6:4.

რამდენიმე სტრიქონით

● **ლვოვში** გამართულ „პურეეესტნიკის“ მშვილდოსანთა საკავშირო ჩემპიონატზე ქუთაისელმა სპორტსმენმა ქ. ლოსაბერიძემ 663 ქულა შეაგროვა და 14 ქულით გაუმჯობესა მსოფლიო რეკორდი.

● **თბილისში** დამთავრდა საქართველოსა და რუმინეთის გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება ხასტენდო სროლაში. ხატრანშეო სროლაში უძლიერესი იყო ზ. მაჩხანელი, მრგვალ ხტენდზე სროლაში — რუმინელი გ. პინტილიე. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საქართველოს მსროლელებმა.

● **ტაშკენტში** ფინიში ჭქონდა მეოთხე საერთაშორისო ტურნირის სამბოში. წონითი კატეგორიის მიხედვით წარმატება ხვდათ საბჭოთა სპორტსმენებს — გ. კიმს, ნ. ასლანოვს, კ. გურასიმოვს, ს. კურბანოვს, ა. ფედოროვს, ნ. იულდაშევს, კ. რომანოვსკის, გ. მალენკინს, ვ. ტრეტიაკოვს, ვ. ნაუნინს.

● **ბაკმართა** „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მეოთხე ზონის გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

„ტრუდი“ (ვორონეჟი) — „მეშახტი“ (ტყიბული) 4:0, „ხიმიკი“ (ნოვოსიბირსკი) — „დილა“ (გორი) 1:1, „მოტორი“ (ვლადიმირი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:1, „სპარტაკი“ (კოსტრომა) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:0, „სატურნი“ (რიბინსკი) — „ოლიმპია“ (ფოთი) 0:0, „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (სოხუმი) 4:2.

● **გუშინ** გორში დამთავრდა ბაბინის პროფესიული კავშირებისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ძიუდოისტთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრა. ორი დღის ასპარეზობის შედეგია 10:3 მასპინძელთა სასარგებლოდ.

ოფიციალური ცხრილი

მოგებებიანი ანაბრების მოგებათა 68-ე ტირაჟისა, რომელიც შედგა დგება ჯავაში 1971 წლის 7 ოქტომბერს.

მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში მოთავსებული მომგებიანი ანაბრების ანგარიშების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტობით ანაბრის საშუალო თანხის მიმართ	ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტობით ანაბრის საშუალო თანხის მიმართ
ა 33	25%	ა 526	100%
ა 50	25%	ა 597	50%
ა 83	25%	ა 614	25%
ა 122	25%	ა 659	25%
ა 197	25%	ა 705	25%
ა 235	25%	ა 722	25%
ა 243	25%	ა 761	25%
ა 317	25%	ა 825	25%
ა 326	100%	ა 846	25%
ა 366	200%	ა 904	25%
ა 404	25%	ა 923	50%
ა 479	25%	ა 987	25%
ა 481	25%		

შემნახველ სალაროებში, სადაც ანგარიშების რიცხვი ათასზე მეტია, მოგება ყველა მომდევნო ათასეულში ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც პირველ ათასეულშია, ე. ი. ა 33, ა 1033, ა 2033, ა 50, ა 1050, ა 2050 და სხვ.

ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე ჯავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ოსტაპენი.

ხატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს ოპერატიული განყოფილების უფროსი ა. შტეინბერგი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი მ. თამასიძე.

დისერტაციების დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

28 ოქტომბერს დღის 12 საათზე ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (მახარაძის, 14) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ოთარ კონსტანტინეს-ძე ავალიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „საქართველოს სსრ შიმპანური ღვინისა და ღვინომასალის მრეწველობის ეკონომიკის საკითხები“.

28 ოქტომბერს დღის 2 საათზე ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (მახარაძის, 14) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ლეონი კონსტანტინეს-ძე ბანგურია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება (1921-1941 წწ.)“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8):

26 ოქტომბერს, დღის 12 საათზე **ნელი ვლადიმერის ასული არშბა** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „მახვილის ბუნება და მისი გავლენა ფონეტიკურ პროცესებზე აფხაზურ ენაში“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ტელევიზია

13 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი „მონრეალი, ექსპო-67“, 12.05 — ძველი რუსული რომანსის ქართული შესრულებები — განმეორებით, 12.50 — სატელევიზიო დადგმა „ანგელოზის ეუბა“ (I ნაწილი), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — ბავშვებისათვის „გაბედული ფოტომონადირე“, 18.35 — გადაცემა „ხალხის სახელით“, 18.50 — „ჩვენი ინტერვიუ“, 18.55 — ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები — საბჭოთა კავშირის ნაკრები (ბელფასტიდან), 20.50 — „ნოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — ახალგაზრდა შემოქმედთა გამოფენაზე, 21.55 — მხატვრული ფილმი „უკანდახევა გზა მოჭრილია“ (III სერია), 22.45 — „ვრემია“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.15 — კონცერტი.

მეორე პროგრამით

19.05 — სკოლების დასახმარებლად: შრომითი სწავლება (ლაბორატორიული სამუშაოები ლითონზე), 20.05 — განცხადებები, 20.10 — სტუდენტთათვის — ლექცია ხაზვაში, 21.15 — ტექნიკურ-ლოგიკური ენის გამოყენების ზოგიერთი საკითხი მათემატიკის სასწავლო კურსის პროგრამაში), 20.05 — განცხადებები, 20.10 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაში, 21.15 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია მასალათა გამძლეობაში, 22.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „დოკუმენტური ფილმი“ შვიდი ნამიჯი ჰორიზონტამდე“.

თეატრები

13 ოქტომბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ფედრა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ჭირვეული ქმრის მორჯულება; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი სიდედრი.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-06, 99-05-09, პ/მ მდივნის — 99-72-30, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-76, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99.55-01, ინფორმაციის — 93.16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93.28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66442 ᲡᲐ 03128 ხელ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ